№ 175

სამშაბათი 26 აგვისტო 1897 წ.

1877—1897

# ივერია

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 175

სამშაბათი 26 აგვისტო 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველ სექტემბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია“
ჰღირს 4 მან. 75 კაპ.

სასწავლებელი და საყმაწვილო ბაღი
**ი. ოცხელისა**
(ქუთაისში)
გამართულია ვარფოლომეევისას ხლში, დადიანის ქუჩის შესახვევში,
სწავლა დაიწყება პირველ სექტემბრიდგან, ყმაწვილები მიიღებიან სასწავლებელში მხოლოდ პირველ ოქტომბრამდე; საყმაწვილო ბაღში-კი ყოველ დროსა მთელის წლის განმავლობაში. (6—162—3)

დაიბეჭდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში
მ. ლაღიძის გამოცემული
ახალი თხზულება-პოემა
აკაკისა
**ნათელა**
(ძველებური ამბავი)
წიგნი დაბეჭდილია მშვენიერს ქაღალდზე, შეიცავს 72 გვერდს.
ფასი თითო აბაზი.
ვინც ამ წიგნს ერთად ნაღდ ფულზედ იყიდის გამომცემლისაგან ქუთაისში, დაეთმობა 20%. მსურველთ ფასს-დადებითაც გაეგზავნებათ. (10—145—8)

## რედაქციისაგან

ვაცნობებთ იმ ხელის-მომწერელთ, რომელთაც შარშან პირველ იანვრიდგან მთელის წლით გამოიწერეს გაზეთი და თუმანი წარმოადგინეს, რომ გაზეთი მოესპობათ ამ აგვისტოს დამლევს. ვისაც ჰსურს ამ 1897 წლის დამლევამდე ეგზავნებოდეს გაზეთი, უნდა შემოიტანოს კიდევ 3 მან. 33 კაპ.

ქართული თეატრი
სათავად-აზნაურო თეატრში, ოთხშაბათს, 27 აგვისტოს 1897 წ.
ქართველ-სტუდენტების სასარგებლოდ
ბ. კას. აბაშიძის რეჟისორობით, სცენის მოყვარეთაგან
წარმოდგენილი იქნება:
I
**ციმბირელი**
კომ. 4 მოქ., ა. ცაგარლისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ციციშვილი, საყვარელიძე, ვაშაკიძე, დიდებულიძე და სხ. ბბ. სვიმონიძე, მესხი, გოცირიძე, იმედაშვილი, შველიძე, ხოსროევი, ჯაფარიძე და სხვ..
II
**დივერტისმენტი**
დივერტისმენტში სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებს გრ. აბაშიძე.
დასასრულ **ლეკური**. ანტრაქტებში დაუკრავს **მუსიკა**.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.
რეჟისორი ვ. აბაშიძე

## მთავრობის განკარგულებანი

—

გამწესებულ იქმნა გიორგი პეტრიაშვილი გუბერნიის სამმართველოს კანცელარიის მოხელედ.

დანიშნულ იქმნა გორის მაზრის უფროსის უფროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი, პორუჩიკი არნოლდი ბორჩალოს მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად.

## ახალი ამბავი

—

*** კავკასიის მთავარ-მართებელმა გენერალ ლეიტენანტმა თავ. გ. ს. გოლიცინმა ასი მანეთი შესწირა კოჯორში მოსწავლეებისათვის საზაფხულო ახალშენის გასამართავად.

*** კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გოლიცინი 24 აგვისტოს კავკასიის რკინის გზით ერევნის გუბერნიასა და ყარსის ოლქში წავიდა.

*** შინაგან საქმეთა სამინისტრომ ათი ათასი მანათი გადასდო იმათ დასაჯილდოვებლად, ვისაც ამიერ კავკასიაში, თანახმად 1879 წლის 3 ივლისის კანონისა, ჭირიან საქონელს დაუხოცავენ.

*** ამ უკანასკნელ ხანში ტფილისში მეტად გაძლიერდა საქონლის ჭირი. 23 აგვისტოს გუბერნატორმა გამოუცხადა ქალაქის გამგეობას, რომ დაუყოვნებლივ აასრულეთ ჩემგან ნაჩვენები საშუალებანი საქონლის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველადაო.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის შუამდგომლობით ამ მომავალს წელს ათამდე სახელოსნო და ტეხნიკური სკოლა იქმნება დაარსებული კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილშიო, სწერს გაზეთი „ნოვოე ვრემია“.

*** ქალაქის ახლად არჩეულის ხმოსნების დაფიცება ენკენისთვის პირველ რიცხვებში მოხდება. იმავე დღეს შესდგება საბჭოს პირველი კრება, ხოლო მეორე 13 ენკენისთვეს. ახალმა ხმოსნებმა, უნდა აირჩიონ ქალაქის მოურავი, ერთი წევრი გამგეობისა (ხოსროევის მაგივრად, რომელსაც სამსახურის ვადა უთავდება), საბჭოს მდივანი, სასკოლო კომისიის წევრნი და სხვ.

*** ქალაქის სავაჭრო მრეწველობის უფროსმა ზედამხედველმა ბ-ნ ალექ. ჯაბადარმა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე კითხვა იმის შესახებ, რომ ჯამაგირი მოემატოს სავაჭრო პოლიციის დაბალ ხარისხის მოსამსახურეთ, რომელთაც ეხლა მხოლოდ 15—25 მან. აქვთ ჯამაგირი. ბ-ნი ჯაბადარი ამბობს, რომ მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ქალაქმა იყოლიოს სინიდისიერი და მცოდნე კაცები, რომელნიც მომეტებულის ერთგულობით ემსახურებიან ქალაქის ინტერესებს და ამით გამგეობა უფრო მოიგებს და შემოსავალიც მოემატებაო. ბ-ნ ჯაბადარის ანგარიშით ამისათვის ქალაქის გამგეობას მხოლოდ 2,371 მან. 92 კაპ. გადადება დასჭირდება წელიწადში. ეს წინადადება განხილულ იქმნება ქალაქის საბჭოს მახლობელს სხდომაზედ.

*** სურამისა და ცხინვალის საფილოქსერო დასის ექსპერტს ოდესის საფილოქსერო კომიტეტისაგან 10,000 კილოგრამი გოგირდის ნახშირ მბადი მიუღია. ამ 10,000 კილოგრამიდგან 5,000 კილოგრამი სოფ. დირბში გაუგზავნია, რომ ახლად ფილოქსერა აღმოჩენილს ვენახებსა და აგრეთვე ძველ ფილოქსერიანს ვენახებსაც უწამლონ და 5,000 კილოგრამი სურამის ნაწილის ვენახებისათვის დაუტოვებია, რომ აქაურს საექვო ვაზებს ასხურონ.

# ფელეტონი

—

### ბ-ნ შ. არაგვისპირელი და მისი უკანასკნელი ეტიუდები.

ჩვენს ღარიბს ლიტერატურაში ბ-ნ შ. არაგვისპირელმა უკვე თვალ-საჩინო ადგილი დაიჭირა. მის ნაწერებს ჰკითხულობენ, იმაზედ ბაასობენ, სწერენ. ეს არც საკვირველია, რადგან როგორც ნიჭით, ისე ნაყოფიერებით, ჩვენი ახალგაზდა ბელეტრისტი სწორედ რომ ყურადღების ღირსია. ამ უკანასკნელ დროს მაინც ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში ერთობ ხშირად შეხვდებით იმისს ეტიუდებს, რომელთაც რაღაც თავისებური ფერი ადევთ, როგორც შინაარსით, ისე გარეგნობით, და განირჩევიან სხვა ჩვენ მწერალთა მოთხრობა-სურათებისაგან; განირჩევიან თვით ბ ნ არაგვისპირელის წინანდელ ნაწერებისაგანაც. პირველ თავისს ნაწერებში ახალგაზდა ავტორი ნიჭიერად გვიხატავდა ჩვენ მდაბიო ხალხს, როგორც ამ ხალხის შვილი და მცოდნე მისის სულისა, მისის ტანჯვისა და ვაებისა. გრძნობა სიბრალულისა ცხოვრებისაგან შეურაცხყოფილ და დასჯილ ადამიანის მიმართ ნათლად და ძლიერად იყო გატარებული მის პირველ სურათებსა და მოთხრობებში და ყველა სიამოვნებითა და აღტაცებით კითხულობდა იმისთანა მშვენიერ სურათებს ხალხის ცხოვრებიდგან, როგორიც არის „ჩემო შვინდავ!“, „ეს არის ჩვენი ცხოვრება?“, „ყველა დავკარგე!“ და სხვა. მე არ ვამბობ, რომ ეს სურათები და, განსაკუთრებით, დიდი მოთხრობა: „და-ძმა“ უნაკლულონი იყვნენ; ვამბობ, მხოლოდ, რომ ისინი იყვნენ აღებულნი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდგან, ჰხატავდნენ ამ ცხოვრების არსებით მოვლენათა, იყვნენ გამსჭვალულნი და სულჩადგმულნი სიმპატიურ იდეით. იმათი კითხვა კიდეც გასიამოვნებდათ და კიდეც გაკეთილშობილებდათ, რადგან სიბრალულს სძრავდა თქვენს გულში.

ახლა ვნახოთ ბ ნ არაგვისპირელის უკანასკნელი დროის ეტიუდები, რომლებითაც ავსებულია ჩვენი ჟურნალები და გაზეთები! „და-ძმა“-ს შემდეგ, რომლითაც დააგვირგვინა ახალგაზდა ავტორმა თავისის პირველ ხანის ნაწერები, მისგან დამოკიდებულ თუ დამოუკიდებელ მიზეზების გამო, რაოდენსამე ხანს ჩუმად იყო და მხოლოდ 1895 წლის მიწურულლიდგან გხვდებათ ისევ მისი სახელი ჩვენ დრო-გამოშვებით გამოცემებში. 1895 წლის „მოამბის“ №№ X, XI XII-ში მოთავსებულია მისი ეტიუდები: „ქარი-კი ამ დროს ზუოდა, კვნესოდა და გმინავდა“, „ღმერთო, რა დაგიშავე!?“ და «ეჰ, ჯანდაბას ჩემი თავი და ტანი!»; 1896 წლის „საქართველოს კალენდარში“ მოთავსებულია ორი ნაწარმოები ბ ნ არაგვისპირელისა: „ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალი“!.. და „მელოს ღლიურიდან“. ყველა ჩამოთვლილ ნაწერებში მხოლოდ „ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალი“!.. ჰგავს მაგ არაგვისპირელის პირვანდელ ნაწერებს. ეს პატარა ეტიუდი ჩინებული სურათია ჩვენის ხალხის ცხოვრებისა, შეეხება ამ ცხოვრების ერთს უმთავრესს მოვლენათაგანს და თავიდგან ბოლომდე ხელოვნურად არის დაწერილი; მშვენიერად ასურათებს დამოკიდებულებას მშრომელის გლეხისას და ჩარჩ-ვაჭრისას, რომელსაც ჩაუგდია პირველი ხელში და დაჰპატრონებია როგორც იმისს საცხოვრებელს, ისე თვით იმასაც.

— აი, თითონ ამ ეტიუდის შინაარსიც: მშვენიერი დილა გათენდა და მალხაზამაც, რომელიც მთელი ღამე ჰყარაულობდა თავისს უკვე შემოსულს ვენახს, რაღაც გაფაჩუნებაზედ თავი წამოჰყო და თოფს წამოავლო ხელი, საქურდლად ხომ არავინ მოდისო; მეზობლებმა უკვე დაჰკრიფეს ვენახები და ამიტომ ყველა მალხაზას ვენახს ეტანებოდა, მაგრამ მალხაზა არავის დაანებებდა თავისს ნაოფლარს და მოუთმენლად ელოდა დღევანდელ დღეს, როცა რთველი ჰქონდა დანიშნული. ვის მალხაზას? არა, ვაჭარ ბალოს, რომელსაც ფაქტიურად ეკუთვნოდა მალხაზას ვენახიც და თვით მალხაზაც. აგერ გამოჩნდნენ კიდეც ურმები და ცოტა ხანს შემდეგ ვენახში შემოვიდნენ ბალოს ცოლ-შვილი და მუშა დედაკაცები. „ნეტავი ის ოჯაჰ ქორრი, ჩემი დედაკაციც ჩამოვიდეს და ი ბალღები წამოასხას, რომ დღეს რთველში მაინც გაიხარონ და ისიამოვნონ რამე!“ ამბობს გულში მალხაზა, რომელიც ჰხედავს, რომ მის ვენახში მისი ცოლი და შვილები-კი არა ჰხარობენ და სიამოვნებენ, ვიღაც ბალოს ოჯახობა დანავარდობს. შეიქმნა ყურძნის კრეფა და თითონ ბალომაც „თავისი ლურჯა შემოათქრიალა ვენახში და კინალამ მალხაზა არ გაატანინა“. ბალოს „რვა წელიწადია, რაც მალხაზა თავის ბრჭყალებში ჰყავს და საცოდავად აწრიპინებს და სრუტავს იმის სისხლს. განა მარტო მალხაზას?! არა, ვინ მოსთვლის რამდენს აწრიპინებს, აწრიპინებდა დაააწრიპინებს“! ბალო ჩამოხტა ცხენიდგან, რომელიც გასატარ-გამოსატარებლად მალხაზას მისცა, და საყვედურით მიჰმართა ცოლს, რომ ასე ცოტა ნამუშევარი დაახვედრა. „რა ვქნა, ბალო“... დაიწყო ცოლმა.—„რა ჰქნა და ისა, რომ უნდა აგეჩქარებინა. ესენი ჭამის მეტს არას აკეთებენ“!..—„ღმერთმანი, ბალო, ერთი მარცვალიც არ დაგვიკლია! ერთ-ხმად უპასუხეს დედაკაცებმა... თუ ჩვენი არა გჯერა, ენდე შენ შვილს, ჰკითხე: ეგ სულ ქორივით თავს დაგვტრიალებს“!.. ბალო მოუსვენრად მიდი-მოდის ვენახში და უყურებს, რომ დედაკაცებმა ჩქარა იმუშავონ, თან ერთი მარცვალიც-კი არ მოაკლონ ყურძენს. ამ დროს ვენახში შემოვიდა მალხაზას ცოლი ბ შემოიყვანა ბავშვები. —აქნობამდის რა დაგემართა, ადამიანო“?! ჰკითხა ცოლს მალხაზამ.—„რა ვიცი, რაღასაც მეხათრებოდა და გული არ მომწევდა“, იყო პასუხი.—„შე ოჯახქორო, გეხათრებოდა რა, ვისი უნდა დაგეხათროს შენს მომუ“...—„ეგენი ვიღა არიან?!“ მოისმა ამ დროს ბალოს მრისხანე ხმა.—„ჩემი ცოლ-შვილია, შენი ჭირიმე, გუშინ

⁂ მალე პეტერბურგში ბჭობა თურმე ექნებათ პროვინციალურ გაზეთების გამომცემლებს იმის შესახებ, რომ ახალი დეპეშათა სააგენტო იქმნას დაარსებული. აღნიშნულს სააგენტოს პროვინციალურ გაზეთების პატრონები შეადგენენ. ამ ჟამად პეტერბურგში უკვე მოლაპარაკება გაუმართავთ პროვინციალურ გამოცემათა რამდენსამე წარმომადგენელს.

⁂ ამას წინედ მოხსენებული გვქონდა, რომ ფოთის ქალაქის მოურავმა ნ. ი. ნიკოლაძემ გზათა მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, ამიერ კავკასიის რკინის გზის ზოგიერთ შტოებზედ მატარებელთა მიმოსვლის წეს-რიგის შეცვლის შესახებ. ბ-ნ მინისტრმა მაშინვე მიაქცია ჯეროვანი ყურადღება ამ შუამდგომლობას, ხოლო ეხლა, როგორც შევიტყეთ, სახაზინო რკინის გზათა მმართველობის წევრს ინჟენერს დომბროვსკის დეპეშებით მოუპატიჟნია 29 აგვისტოსათვის ქალაქს ქუთაისში ბ-ნი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, ფოთისა და ბათომის ქალაქის მოურავნი, ზოგიერთა მაზრებისა და ოლქის უფროსნი, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ მატარებელთა მიმოსვლის წეს რიგის შეცვლის შესახებ მოლაპარაკებაში.

⁂ რადგანაც რკინის გზის დიდს სადგურებზედ მოგზაურებს ხშირად დიდხანს უხდებათ ცდა და უხერხულობასა ჰგრძნობენ იმის გამო, რომ ხელში დასაჭერს ბარგს პატრონობა და თვალ-ყურის დევნება უნდა, ამისათვის სახელმწიფო რკინის გზათ განზრახვა აქვთ თურმე ასეთს სადგურებზედ განსაკუთრებული ოთახები იქონიონ იმისათვის, რომ მოგზაურების ხელში დასაჭერი ბარგი აქ ინახებოდეს, ვიდრე ვაგონებში შეიტანდნენ. ბარგის შენახვაში მოგზაურებს ზომიერი ფასი გარდაჰხდებათ.

⁂ როგორც კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში წარდგენილ მოხსენებიდგანა სჩანს, ს. ძველ გავაზსა და საცხენისში თამბაქოს მოსაყვანად საშუალო რიცხვით 10—20 დესიატ. მიწა შეუმუშავებიათ ამ ბოლოს 6—7 წლის განმავლობაში. 1890 წლიდგან დაწყებული 1896 წლამდე სულ მოუყვანიათ 8,133 ფუთი თამბაქო. თამბაქო უმეტესად „სამსონისა" და „ტრაპეზუნდისა" (ოსმალური) თურმე ითესება და სამის ხარისხის თამბაქოდ ირჩევა,—1-ისა, მე 2 ისა და მე-3-სად. ათასში ერთხელ „დიუბეკიც" მოჰყავთ, მაგრამ ადგილობრივნი მცხოვრებნი თამბაქოს მოყვანას სხვათა შორის თურმე მისდევენ და ხელობად არ არის იგი გადაქცეული. მოგება ან სულ მცირე რჩებათ, ან არა-და ხარჯს-ღა უდრის წლის მოსავალი. ეს გარემოება აი რითი აიხსნება. თამბაქოს მოსაყვანად მცხოვრებნი ადრევე ფულს იღებენ სხვა-და-სხვა ვაჭრებისაგან, ხარჯი ბევრი სჭირდება, ზედმიწევნით 200 მან. და მეტი თითოეულს დესეტინაზედ და რადგანაც ფასს ძლიერ ნაკლებს იღებენ ადგილობრივ, მოგებად აღარა რჩებათ რაო.

⁂ გაზ. „კავკაზის" სიტყვით, ბ-ნ ფორკატის-მიერ მოწვეული საოპერო დასი, რომელიც სახელმწიფო თეატრში გამართავს წარმოდგენებს, ტფილისში 5 სექტემბერს ჩამოვა.

⁂ გაზ. „კავკაზს" დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო მამულების მინისტრი ბ-ნი ა. ს. ერმოლოვი უკვე წავიდა ასტრახანში და იქიდგან კავკასიაში წამოვაო.

## წერილი სიღნაღიდგან

სიღნაღში კარგად მოზდილი ადგილი უჭირავს ესრედ წოდებულ „პორტოისვი" „ივერიი"-ს მონასტერს. ამ მამულების მმართველად იგზავნებიან მონასტრიდგან სხვა-და-სხვა ბერ-არხიმანდრიტები, მოვლენ თუ არა ეს არხიმანდრიტ-ბერები აქ, მაშინვე შეუდგებიან ხოლმე თავიანთ გეგმა გემოვნებით ხსენებულ მამულის მოვლა-პატრონ-მმართველობას. ამათსა და მოიჯარადრეთა შორის სულ ხალხითაა დასახლებული ეს მამული) არ არსებობს საიჯარო ნიხრი, აძლევენ მორიგებით, ზოგს მეტად და ზოგსაც ნაკლებ; უფრო იმის ცდაში არიან, რომ რაც შეიძლება მეტი ფასი გამოართვან მოიჯარადრეებს. ამას ვინა სჩივის! იქამდი დახარბებულან ეს დალოცვილი უცხო ქვეყნის ბერ-მონაზონნი, რომ აღარ კითხულობენ, ამდენ მოსახლე ხალხს გზაც უნდა თუ არა? ოღონდ კი ოთხ-კუთხ საჟენ მიწაში 5—10 კაპ. აიღონ ქირა, და იმას აღარ დაგიდევს შესავალ-გასავალი გზაც იქმნება თუ არა? არა თუ ახალ გზას აძლევენ, ძველსაც სპობენ და ამ რიგად მოსახლემ აღარ იცის საით გადადგას ფეხი. „ყაზარმიდგან" ჩამოდიოდა „გძელს მიწებზედ" ერთი პატარა გზა, რომელზედაც დაიარებოდა ერთმანეთში გაღმა და გამოღმა უბანში მცხოვრები ხალხი. შეჰკრეს ეს გზა და მისცეს იჯარით კალატოზ საავას, რომელმაც ზედ ორ სართულიანი სახლი გამოჰიმა და მით მოუსპო ორს უბანს ახლო და საადვილო სატარებელი გზა. არც მეორე გზას დაეყარა ხეირი, ისიც იჯარით გასცეს და ზედ ეხლა მშვენიერი სახლია აშენებული. აქედგანვე ჩადიოდა საუბნო გზა ანაგის ხევზე, რომელზედაც აქ მცხოვრების გარდა სხვაც დიდ ძალი ხალხი დაიარებოდა და დაიარება კიდეც ამ ჟამად. ამ გზის ბოლოს ღელის თავში აქვს იჯარით აღებული მონასტრის ალაგი ს. შარინს, რომელზედაც აქვს აშენებული ერთ სართულიანი ქვიტკირის სახლი და ხეხილით სავსე ბაღჩა. აქავე მეორე მხარეს აქვს იჯარითვე აღებული ისევ მონასტრის ალაგი ცარიელი მიწა წ. ოჰანეზოვს. აი ამ ორ მოჯარადრეთ შუა იყო დატოვებული მონასტრის წინანდელი გამგეთაგან კარგა ფართო გზა. ამ გზის ბოლოში დიდი ღელეა რომელშიაც ჩააქვს მთელი უბანს ნაგავი, და აქედანვე ეზიდებიან წყალს მთელი „ყაზარმის" უბნელები. იმისმაგიერ, რომ ეს ოღრო-ჩოღრო გზა გააფართოონ-გაასწორ-გაავაკონ და მით ადვილ სასიარულო გახადონ, ეხლა ამასაც გვისპობენ, იჯარით აძლევენ ერთ ხელ მოკლე დურგალს სამოსახლო ადგილად.

ეხლა აღარ ვიცით ამ უგზობას რა უშველოთ და საით მოვახერხოთ სიარული ან წყალზედ ან სხვა საჭირო ადგილზედ.

სოფლელებმა შეიგნეს გზის ყადრი და მშვენიერი გზები დააკეთეს, მოკენჭეს, გააფართოვეს პატარა და-ვიწრო ორღობეები, რომ თავისუფლად შეეძლოთ ცხენით, ჯორით, ურმით თუ ფეხით სიარული და აქ ქალაქ ადგილას-კი, ახლის მაგიერ ძველსაც გვიღობავენ და მით გვისპობენ ერთმანეთში ახლო სასიარულო გზებს. სასურველია და ძალიან საჭიროც, რომ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ ქალაქის პატრონებმა.

ამ ჟამად აქეთ ერთ ნაირი ავადმყოფობა მძვინვარებს, რომლისაგანაც ბევრნი ხდებიან ავად, განსაკუთრებით ქვემო ქიზიყის სოფლებში. ავადმყოფს ჯერ საშინელსა და აუტანელ სიცხეს აძლევს, შემდეგ შფოთვასა და ბოდვას აწყებინებს და ხშირად წუთისოფელსაც გამოასალმებს ხოლმე, დიდს შეღავათს მისცემდნენ მკურნალ-ექიმ ფერშლები ავათმყოფთ, ნამეტნავად ულონო და ხელმოკლე ხალხს, მაგრამ ამათ ჩვენთვის არა სცალიანთ. მხოლოდ ერთად ერთი ექიმია ბ-ნი ნაუმენკო, მაგრამ ეს ერთი კაცი რომელ ერთს გასწვდება. სხვებს კი, როგორც ზემოთა ვსთქვით, გლეხკაცისთვის არა სცალიანთ, ერთი ფერშალი აფთიაქში მსახურობს ჯამაგირით; ორი სხვა მკურნალი კიდევ თავიანთ ჯიბეს უყურებენ და ამათი მიწვევა არ ძალუძს ღარიბ-ღატაკ ხალხს. ამას წინად ამავე ქალაქის ზემო უბანში ერთ ღარიბს დედაკაცს გაუხდა ზემოხსენებული სენით ავათ ქალიშვილი. მიმართა თავისუფალს მკურნალს (ნაუმენკო სოფლად იყო), მაგრამ მკურნალმა სანამ სამი მანათი არ მიიღო და ფაიტონიც არ მიართვეს, ფეხიც არ მოიცვალა. როდესაც ერთი უბნიდგან მეორეში უეტლოთ და სამ მანათ ნაკლებ არ მიდიან, რასაკვირველია, სოფელში ბევრს ფულს მოითხოვენ და ღარიბ-ღატაკ გლეხს კი სად შეუძლიან. განა ამის შემდეგ ეძრახება გლეხს მკითხავთან რად მიდიხარო? ამ საწყალმა ქვრივმა დედაკაცმა მარტო ექიმის მიწვევასა და ფაიტონში 4 მანეთი დახარჯა. ახლა წამალი? ეს ხომ თუმანზედ მეტი იქმნება და აბა ვინ მიაქვავა ჩვენ გლეხს ერთი თუმანი ნაღდი ფული. ამისათვისა სასარგებლო და დიდად საჭიროა, რომ მალე დაარსდეს სიღნაღის მაზრაში მეორე სამკურნალო, ისეთი, როგორც ახლა ს. ველისციხეშია, თორემ თუ ჩვენს ფერშლების ანაბარად დავრჩით, ამათ ჩვენთვის არა სცალიანთ და არც მოიცლიან.

ქართველი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ბზვანი** (ქუთაისის მაზრა). ამ სოფელში ქურდ-ბაცაცობა თან-და-თან იკიდებს ფეხს; ამასწინად ერთი აჭარელი ქურდ-ბაცაცა მობრძანდებოდა ქუთაისიდგან სახლში; გამოიარა სოფ. ოფიშკვითში და ერთს იქაურ მცხოვრებთაგანს შუაღამისას მოჰპარა გვერდის ქამარი, ხანჯალი და ბეშმედი; მაშინვე გამოუდგნენ უკან, ზორანზე მოსვლამდე დაეწივნენ ქურდს, წაართვეს ნაპარავი ნივთები, დაიჭირეს და გადასცეს „ხევის თავებს", მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, მაინც-კი ეს გაქნატონი არხეინად დასეირნობს.

დღემდე ბზვანში არღნის ხმას ვერ გაიგონებდით, დიდი მყუდროება ჰსუფევდა. დღეს-კი ჩვენს სოფელში სამი არღანია; სულ ერთია მათთვის კვირა, ორშაბათი და ხუთშაბათი: ყოველ დღე საღამომდე აწკრიალებენ. ამის გამო ბევრ აქაურ ახალგაზდა ყმაწვილს

მე შევატყობინე, რომ ჩამოსულიყვნენ და რთველში ესიამოვნათ რამე". —ხა, ხა, ხა... ესიამოვნათ რამეო!.. აქედგან დაიღუპნენ, თორემ მე ვასიამოვნებ, სულ პანღურით დავხეთქამ!.. მე თითო მტევანი თითო აბაზი მიღირს და ამან აქ თავისი ცოლ-შვილი უნდა ასიამოვნოს, კარგია!.." დაიღრიალა ბაღომ. „მალხაზას ენა მუცელში ჩაუვარდა... იმის ცოლს ხომ შიშით კანკალი დააწყებინა და მუხლები მოეკვეთა".—„რაღას უდგეხართ, თქვე ვირო-მამაძაღლისეებო, და აქედგან არ დაიღუპებით! უფრო გაცოფებით წამოჰქროლა ბაღომ და მალხაზას ცოლ-შვილისკენ წამოიწია. მალხაზას ცოლმა ყმაწვილებს ჩაავლო ხელი და გამქრალი შარა-გზას შინისკენ გაეკრა"... დიდხანს უყურა მიმავალს ცოლ-შვილს მალხაზამ და ბოლოს „ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალი!"-ო, გულამოსკვნით წამოიძახა და „ტყვიასავით გახურებული წყვილი ცრემლი ჩამოგორდა იმის გამხმარ ლოყებზედ"...

აი, ნამდვილი და უტყუარი სურათი ჩვენი ხალხის ცხოვრებისა! აი, რა ჩინებულად იცის ბ-ნ არაგვისპირელმა ეს ცხოვრება და რა მშვენიერად ჰსახავს. განა სამწუხარო არ არის, რომ იმან, ვისაც ასეთის სურათების ხატვა შეუძლიან ჩვენის ხალხის ცხოვრებისა, მოაცალოს თავისი ნიჭი იმისთანა რამეების წერისთვის, როგორიც არის, მაგალითად: „მელოს დღიურიდგან", „ხითხითებს და ხითხითებს!" ბ-ნ არაგვისპირელის უკანასკნელ დროის სხვა ნაწერები?

„მელოს დღიურიდგან"-ში აწერილია სულიერი ტანჯვა გასათხოვარ ქალიშვილის, რომელიც 23-ს წლის შესრულებულა და გათხოვების იმედი დაჰკარგვია. „გული აღარაფერზედ მიმიწევს. ჩემი თავისა ველარა გამიგია-რა. რას მოვავლო ხელი, რა გავაკეთო?.. არა ვიცი-რა. საკერავს წამოვავლებ ხელს თუ წიგნს, აღარა მესმის რა. ხელებს ვაფათურებ და გონება-კი სადღაც დაფრინავს!.. ის რიცხვი კიდევ ჩემი ფიქრის დასკვნა არის. რაზედაც უნდა დავიწყო ფიქრობა, მაინც ოც-და-სამ რიცხვს მივადგები ბოლოს და გულში რაღაც ნაირად მიჩხვლეტს ხოლმე"... მთელს ცხრა გვერდზედ ამ ნაირად ალაპარაკებს ავტორი თავისს მელოს და ვინ იცის, რამდენს სისულელეს არ ათქმევინებს, რამდენს შეუსაბამო რასმეს არ ჩაადენინებს? მაგალითად, როცა ყველანი იძინებენ, მიდის მელო სარკესთან, რომ დარწმუნდეს, ხინჯი ხომ არაფერი აქვს, და ჰხედავს რა მშვენიერებაც ყოფილა! „საჩქაროდ გავხოლოდ შობილდი და, ღმერთო ჩემო", ამბობს მელო: „მაშინ შევიტყე, რა მშვენიერებაც ვყოფილვარ!.. რომელი დახელოვნებული გამომქანდაკებელი ასე სისწორით და მშვენიერებით გამოიყვანს თავისს ნაწარმოებს, როგორც ჩემი სხეულია!.. სწორე ლარივით ხაზები, კუნთების თავის ადგილას ამაღლებ-დადაბლება და... მკერდი?! მკერდმა ხომ აღტაცებაში მომიყვანა: სპეტაკი, ნაზი და მოთამთამე ყელიდგან მოწყობილი გულის კოვზამდის სისწორით, ოდნავ წინ-წამოწეული და ზედ კიდევ აქეთ-იქით, წყვილად ამობურთული და ჩამკვრიული ძუძუები, რომელთაც მარწყვსავით წითლად გამომღვივე, თითქო პატარა თავი აზისო... შევცქეროდი ჩემს სხეულს და ვნანობდი: „ოხ, რატომ ასე სიარული არ შეიძლება, რომ ყველანი დამეგიჟებინა! მაშინ ხომ... და სხვა-და-სხვა. რეალიზმია, მაშ რა ჯანდაბაა? შეიძლება ასეც იყოს და ასეთი ფიქრები მოუვიდეს რომელსამე გასათხოვარს ქალს, მაგრამ ის-კი არ შეიძლება, რომ ეს თავისი ფიქრები ქალალდს ანდოს, მით უმეტეს ჩვენებურმა ქალმა, და, თუნდაც შესაძლებელიც იყოს ყველა ეს, ნეტავი ვიცოდეთ, რად დასჭირდა ავტორს იმისი გამოქვეყნება? იქნება, იმიტომ დასწერა თავისი „მელოს დღიურიდგან", რომ სასაცილოდ აეგლო ოც-და-სამის წლის ქალი, რომელსაც გათხოვება უნდოდა და აღარავინ-კი აღარ თხოულობს, მაგრამ სასაცილო აქ სწორედ არაფერია.

ეხლა ესე ვილას უნდა ვეჩვენო, ვილას?! ხომ სამუდამოდ მარტოდ, გავუხარებლივ უნდა დავრჩე!.. ვაიმე"! აბოლოვებს სასოწარკვეთილი მელო თავის დღიურს და თქვენც არავითარი უფლება არა გაქვთ დასცინოთ, რადგანაც რა მისი ბრალია, თუ ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ერთად ერთი საშუალება ქალისთვის გათხოვებაა, რომ შესაფერი ადგილი ეჭიროს, და 23 წელიწადს გადაცილებული მელო-კი გათხოვებას ვეღარ ეღირსება? მაგრამ პირიქით, იქნება ავტორს უნდა შეგვაბრალოს ცხოვრებისაგან უდანაშაულოდ დასჯილი მელო, როგორც შეგვაბრალა, მაგალითად, მალხაზა და მისი ცოლ-შვილი. თუ ასეა, შემცდარი ბრძანდება ახალგაზდა ავტორი, რადგან მაშინ სულ სხვა საშუალებისთვის უნდა მიემართნა, რომ ჩვენში სიბრალული გამოეწვია თავისის გმირის მიმართ, თორემ აბა ვინ შეიბრალებს, თუნდ მაგალითად, ამის მთქმელს: „წუხელის დედა-ჩემი არ მომეშო და საცეკვაო საღამოზედ წამიყვანა. გულით არ მინდოდა წასვლა ძ მაინც წამძლია. ნეტავ არ წავსულიყავ! რაც გული არ ჩამეთუთქა, იმის მეტი რა ვისიამოვნე?!. ეს ტიალი დამავიწყდა, რომ დეკოლტეთი არ წავსულიყავ. სანამ წავიდოდი, მანამდის არაფერი და როცა ცეკვა დავიწყე, მაშინ საშინლად დამიწყო გულზე დიტინი იმ წყეულმა. დავიხედე და „ღმერთო" სწორედ იმ ადგილს, ის ადგილი სულ გამოჩენილი მქონდა, კანი ისე მომქმუჭნოდა და ისეთი მოყვანილობა მიეღო, როგორისაც „23" რიცხვია! ხელს ვიფარებდი, მაგრამ თამაშობის დროს იძულებული ვიყავ, ხელი ამეღო. ვინც-კი ჩემთან ითამაშა, ყველამ იქ ჩამხედა და ვხედავდი, როგორ დაცინვით იღიმებოდნენ. მე-კი სირცხვილის ოფლს მასხავდა, ვწითლდებოდი და ვყვითლდებოდი. ვინც ერთხელ ითამაშა ჩემთან, მეორედ აღარ გავუწვევივარ. ან კი ვინ გამომიწვევდა დალმეჭილ გულიანს"?!...

დუტუ მეგრელი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუშალა ,,საღერღელი''; იპარავენ თავიანთ სახლში სიმინდს, თუ სხვა ხორაგეულობას, ჰყიდიან და ფულს არღანზედ საქეიფოდ ჰხარჯავენ, მუშაობაზედ-კი გულ-აგდებულნი არიან. კვირა დღეს ბევრს დაავიწყა ეკკლესია და წირვა-ლოცვა, რადგან საღამომდე არღანის ხმა შეიქცია.

ჩვენში საზოგადოდ ფურნე-დუქნები მეტად არის და სადაც არის, იქაც მამასისხლად იყიდება ყოველი ხორაგეულობა. უმეტესად როგორც აქ, ისე ს. განში მეფურნეები პურის ფქვილში სიმინდის ფქვილს ურევენ და თან უმცხვარს პურსა ჰყიდიან. იმედი გვაქვს ბაღდადის ბოქაული ბ-ნი ფაღავა ადგილს აუღებს ამ უწესო მოქმედებას.

აქეთ ჟურნალ-გაზეთის ნაგლეჯსაც ვერსად ჰნახავთ, მთლად ჩვენი საზოგადოება რომ შემოიაროთ, თუმცა მცხოვრებლებს ნახევრამდე თავად-აზნაურობა შეადგენს. სწავლა-განათლების მხრივ მეტად დაჩაგრულნი ვართ. ჩვენი ყმაწვილების გასართობი არის დღეს ბანქო, არაყი და არღანი, ქალიშვილებისა-კი ნარდი და არშიყობა.

ჩვენგან სამის ვერსის სიშორეზედ ს. ამაღლებაში დაარსდა მეორე კლასიანი საეკკლესიო სამრევლო სკოლა; შევხარებივართ, როგორც უდაბნოში „მანანას“, მაგრამ ჯერ-ჯერობით განკარგულება ქაღალდზედ არის და საქმით-კი არა სჩანს, თუმცა აგერ აგვისტოც ილევა.

ვლადო ბზვანელი

# რუსეთი

მუშაობა კომისიისა, რომელიც სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ა. ს. ერმალოვის თავმჯდომარეობით არის შემდგარი და რომელსაც მინდობილი აქვს დედათა უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო განათლების საქმე განიხილოს, ოქტომბრის პირველ რიცხვებში დაიწყება.

— როგორც ხმა ისმის, განზრახვა აქვთ თურმე რუსეთის საიმპერატორო ტეხნიკურს საზოგადოებასთან საგანგებო კომისია შესდგეს, რომ ამ კომისიამ რუსეთში საყოველთაო სწავლების შემოღების საქმე შეიმუშავოს, რადგანაც სახელოსნო თუ ზოგადს განათლებას მრეწველობის წინსვლასთანა და ხალხში გავრცელებასთან დიდი კავშირი აქვს.

— დაბალ სახელოსნო სკოლების ნორმალურ წესდების შემუშავებას ამ ჟამად საერო განათლების სამინისტროში უკვე შესდგომიან.

— სახლების ამშენებელთა წესდების გადასინჯვა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო ამ სამის წლის წინად, ამ წლის დამლევს იქნება დასრულებული.

— 19 აგვისტოს უკვე დაიწყო სასტატისტიკო საერთაშორისო ინსტიტუტის სამეცნიერო მეცადინეობა. დილის 10—12 საათამდე სექციების მუშაობა იყო, რომელიც ისტორიულს სტატისტიკას, მისს საზოგადო საკითხებს, დემოგრაფიას, სტატისტიკურს მეთოდსა, სოფლის მეურნეობის სტატისტიკას, ვაჭრობისა, მრეწველობისა და ძვირფას ლითონთა სტატისტიკასა და სხ. შეეხებოდა.

— როგორც გაზ. ,,ს.-პეტერბურგსკია ვედომოსტი''-ს გაუგონია, გზათა სამინისტროსთან სექტემბრის პირველ რიცხვებიდგან დაიწყება სხდომები იმ საგანგებო კომისიისა, რომელსაც რუსეთის რკინის გზებზედ ელევატორებისა და სხვა საწყობების გამრავლების საქმე აქვს მინდობილი.

# უცხოეთი

**ინდოეთი**. ინდოეთში საქმე თანდათან უფრო მწვავდება. ისე დღე არ გაივლის, რომ დეპეშამ ინდოეთიდგან ამა თუ იმ შეტაკების, არეულობის და აჯანყების ამბავი არ მოიტანოს. ის ხალხმა, რომელიც წინად მხოლოდ თავის მინდორველს დასტრიალებდა და მშვიდობიანად სცხოვრობდა, დღეს მუშაობას თავი მიანება, ხელში საომარი იარაღი აიღო და ინგლისის წინაამდეგ ბრძოლა დაიწყო. ეს კიდევ არაფერი. ინდოეთში მრავალი სხვა-და-სხვა ტომის ხალხი სცხოვრობს და თვითოეული მათგანი ცალკე სარწმუნოებას აღიარებს. აი ამ სარწმუნოების სხვა-და-სხვაობის წყალობით მუდამ ბრძოლა იყო ხალხთა შორის. ისე წელიწადი არ გაივლიდა, რომ ორ სხვა-და-სხვა ტომის ხალხს შეტაკება არ მოსვლოდა სარწმუნოების გამო და ერთმანეთისთვის აუარებელი ზარალი არ მიეყენებინათ. ინგლისი ამით შესანიშნავად სარგებლობდა. ის არამც თუ ხელს უშლიდა და სცდილობდა მოესპო ეს სიძულილი ხალხთა შორის, არამედ ყოველ საშუალებასა ხმარობდა უფრო გაემწვავებინა და გაეძლიერებინა იგი, რომ ხალხის ყურადღება სხვა საგანზედ მიექცია და თვით ისე ესარგებლა, როგორც თვითონა სურდა. მაგრამ ეხლა ხალხი გამოფხიზლდა. ერთმანეთის მტრობას თავი მიანებეს და ყველამ ერთად მთავრობის წინააღმდეგ დაიწყეს მოქმედება. გუშინდელი მტრები დღეს გულითადი მეგობრები არიან და ყველანი მხოლოდ ერთის აზრითა და სურვილით არიან გამსჭვალულნი: განითავისუფლონ თავი ინგლისის მონობისაგან. აშკარაა ხალხი მეტად გაწვალებულ მდგომარეობაში უნდა იყოს, რომ საუკუნოებით გადამტერებული სხვა-და-სხვა ტომი შეერთდა და ყველამ ერთად განიზრახა წინააღმდეგობა გაუწიოს ინგლისს. აშკარაა, მეორეს მხრით, რომ ინგლისი სასტიკს საშუალებებს მიჰმართავს და ჯარის შემწეობით, ასე თუ ისე, ჩააჩუმებს მეამბოხეებს, როგორც 1857 წლის აჯანყების დროს მოხდა. მაგრამ ასეთის საშუალებანით სამუდამოდ ვერ დააწყნარებს მხარეს და ხვალ შეიძლება იგივე მოხდეს, რაც დღეს არის, თუ თვით ხალხის ყოფა-მდგომარეობას არ მიაქცია ყურადღება და მონობის უღელი არ ააცილა.

—

**საბერძნეთი**. ჯერ საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის ზავის დადების საქმე არ გათავებულა და საბერძნეთში „ეთნიკე ჰეტერიამ“, იმ საზოგადოებამ, რომელმაც ომის წინად ბერძნები ოსმალეთის წინააღმდეგ ააღელვა, წინანდელ მოქმედებას მიჰყო ხელი გაზ. „Neue Freie Presse“-ს სიტყვით ამ საზოგადოებამ ხელახლა დაიწყო ხალხის აღელვება და აჯანყება. ათინის მთავარმა კომიტეტმა გაუგზავნა თურმე სხვა კომიტეტებს მიწერილობა, რომელშიაც ურჩევს, რომ ხალხს ოსმალეთის წინააღმდეგ ომი უქადაგეთო. „ეთნიკე ჰეტერიას“ ამ ახალმა მოქმედებამ საშინლად ააღელვა თურმე ყველა ბერძნები და უკვე მოსთხოვეს მთავრობას, რომ რაიმე ღონე იღონოს ამ საზოგადოების წინააღმდეგ.

—

**იაპონია**. ამ რამდენისამე დღის წინად იაპონიაში გარდაიცვალა იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფი გრაფი მუტსუ. გრაფი მუტსუ ერთი პირველ-კაცთაგანი იყო იაპონიაში და იმის გაძლიერება წარმატებაში უმთავრეს როლს თამაშობდა. განსაკუთრებით მან თავისის მოხერხებულის და ჭკუიანურის პოლიტიკით ბევრი სამსახური გაუწია იაპონიას ჩინეთთან ომის დროს. მუტსუ 54 წლის კაცი იყო და, როგორც ამბობენ, ჭლექისაგან გარდაიცვალა.

# ნარევი

ერთმა ურიამ საქმე წააგო სასამართლოში. გამოვიდა სასამართლოდგან, ქუჩაზედ დადგა და დაუწყო თვალიერება გარედგან გაკეთებულს თემიდის ქანდაკებას.

— ეს რა ქანდაკებაა? ჰკითხა იქვე მდგომთ.

— ეგ თვით სამართალია, უპასუხეს.

— სამართალი? ეხლა-კი აღარ მიკვირს, შიგნით რატომ აღარ არის სამართალი, რა კი ქუჩაში აუყუდებულაო!

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

სამხრეთ აფრიკაში არის ერთის ჯიშის მაიმუნი, რომელსაც ჩაკმას ეძახიან. საყურადღებოა, რომ ცივილიზაციის და კულტურის წყალობით ამ ჯიშის მაიმუნს სრულიად გამოუცვლია ზნე და ჩვეულება. ამ მაიმუნს ძლიერ შეჰყვარებია რძე და რძის საშოვნელად შემდეგი საშუალება მოუგონია. მაიმუნი უთვალთვალებს ბატკანს, როცა ძუძუთი გაძღება, მოიტაცებს და მოჰკლავს მხოლოდ იმისთვის, რომ კუჭში ნაპოვნი რძე დალიოს. რა თქმა უნდა, ამ მაიმუნებს დიდი ზარალი მოაქვთ და მწყემსები ძლიერ ემტერებიან. გონიერი მაიმუნი მალე მიხვდა, რომ მამაკაცისაგან უფრო დიდი საფრთხე მოელის და ამიტომ უფრო ერიდება, ვიდრე დედაკაცს. მწყემსებმა ეს გაუგეს მაიმუნებს და ქალის ტანთ-საცმელს იცვამენ, რომ ახლო მიგვიშვასო და ისე ჰხოცავენ თოფით.

ცივილიზაციისავე წყალობით თვისი ზნე-ჩვეულება გამოიცვალა ეგრედ წოდებულმა მიწის მგელმა „Protales cristatus“. ეს მგელი უწინ მარტო სხვა-და-სხვა მწერსა სჭამდა და ხან-და-ხან სირაქლემის კვერცხებით ჩაიტკბარუნებდა ხოლმე პირს. ეხლა-კი ეს მგელი არაფერს ერიდება და რაც მოხვდება, იტაცებს. ერთი ცხოველიც არის თურმე აფრიკაში, სახელად Spreo bicolor, რომელიც უწინ მარტო მწერსა სჭამდა და ეხლა-კი ხილით იკვებება. ეს ცვლილებაც კულტურის ბრალია. უწინ იქაური ხილი არ მოსწონდა ამ ცხოველს, მაგრამ როდესაც კაცმა სხვა ქვეყნებიდგან უფრო უკეთესი და გემრიელი ხილი გადმოიტანა და გააშენა, ამ ცხოველსაც მოეწონა, თავი დაანება მწერს და ეხლა ხილს შეექცევა.

* * *

დღე არ გაივლის ისე, რომ პარიჟის მომავალ გამოფენის კომისიას სხვა-და-სხვა პროექტები არ წარუდგინონ. კომისიამ გამოაცხადა, რომ ადგილი ძლიერ ცოტა-ღა დაგვრჩა ახალ შენობებისთვისაო, მაგრამ ეს ამბავი მოხერხებულ კაცებს არ აფერხებს. ერთი სთხოვს კომისიას: ნება მომეცით ეიფელის კოშკზედ ისეთი სარკე გავმართო, რომ პარიჟი შიგ გამოჩნდესო. მეორეს მოუწადინია მდინარე სენის ქვეშ რესტორანი გაჰმართოს რკინისა და მინისაგან. ზოგს ადამიანის ქანდაკება უნდა გააკეთოს 300 ადლის სიმაღლე, ერთს კიდევ მოუსურვებია 300 ადლის სიმაღლეზედ სახლი ააშენოს. მეორეს ისეთის ცხენის გაკეთება უნდა, რომ იმის მუცელში 1,000 კაცი დაეტიოს. ზოგს ჩაის შადრევანების გამართვა უნდა, ზოგს უშველებელის საქანელასი. ერთის სიტყვით, ჩამოთვლაც-კი ძნელია იმისა, რასაც პარიჟელები აპირობენ მომავალ გამოფენისთვის.

* * *

გაზეთ „Нов. Время“-ში დაბეჭდილია ვრცელი წერილი სათაურით „ჭიდაობა და მოჭიდავენი“. წერილის ავტორს შეუკრებია საყურადღებო ცნობანი შესახებ იმისა, როგორი ჭიდაობა იცის სხვა-და-სხვა ერმა და ვისა ჰყავს გამოჩენილი მოჭიდავენი. ყველაზე უფრო ჭიდაობა გავრცელებული ყოფილა შვეიცარიაში. აქ ისე უყურებენ ჭიდაობას, როგორც ჯანისათვის სასარგებლო ვარჯიშობას. ძლიერა ჰყვარებიათ ჭიდაობა ოსმალეთში. მთელის ქვეყნის მოჭიდავეთა შორის პირველი ფალავანი ყოფილა ოსმალი უსუფი, რომელსაც ოსმალები პაპა უსუფს ეძახიან. ამ პაპა უსუფს პარიჟში წაუქცევია სახელოვანი ფალავანი და მთელს ქვეყნიერობაზედ ღონით განთქმული კაცი გვარად პონსი. ჭიდაობა ჰყვარებიათ აგრეთვე ბულგარიელებს. ამათში სახელოვანი ფალავანი ყოფილა ნიკოლა პეტრო, რომელსაც პარიზში უჭიდავნია და ბევრი ფალავანი გაულახავს. დასასრულ ზემოხსენებულ წერილის ავტორი სწერს, რომ კავკასიაში ბევრი კარგი მოჭიდავეა, მაგრამ ყველაზედ სახელოვანნი არიან: ნესტორ ესებუა, რომელიც ტანით მთელ ქვეყანაზედ ცნობილ მოჭიდავეებზედ მაღალი არის და სამეგრელოში პირველ ფალავნად ითვლება და კულა-გლდანელი—იმერელიო (?).

## წერილი რედაქციის მიმართ

ორი წელიწადია მას აქეთ, რაც დავიწყეთ ლაპარაკი გორის მაზრის სათავად-აზნაურო ამხანაგობის დაარსებაზედ. შევადგინეთ წესდება, წარვადგინეთ სამინისტროში და კიდეც დაგვიმტკიცეს იგი. ვაჭრობა დავიწყეთ პირველ მაისს ამა წლისას სადგურ გომში, რომელსაც აქვს დიდი რაიონი და შუა ადგილია გორის მაზრისა. ვაჭრობა-კი დავიწყეთ, მაგრამ არ შემიძლიან არ ვაუწყო ქართველ საზოგადოებას, რომ „ძალიან გულ-გრილად ეკიდება ამ საერთო სასარგებლო დაწესებულებას ჩვენი თავად-აზნაურობა. აწ გახლავართ ამ საზოგადოებაში წევრებად სულ ორმოცი კაცი. ამ ორმოცში მხოლოდ ერთსა აქვს შემოტანილი საწევრო ფული ოცდა-ორი თუმანი, (ორის პაის ფასია). ოცს—თერთმეტ-თერთმეტი თუმანი და დანარჩენებს—ზოგს თუმანი, ზოგს მეტი. წარმოიდგინეთ ამ თანხით რა ვაჭრობა უნდა განაძლიეროს საზოგადოებამ, რომ გაუწიოს მეტოქეობა მრავალ სხვა ვაჭრებს სადგურ გომზედ, სადაც ისინი ჰყიდიან ყველა იმას, რაიცა მოეპოვება ჩვენს ამხანაგობის საწყობს. ყველამ იცის, რომ გორის მაზრაში ბევრი თავად-აზნაურია შევიწროებული ქონებრივად, მაგრამ ის-კი ყველამ არ იცის, რომ აქვე არიან ოთხასამდე კომლი, რომელთა შემოსავალი წელიწადში უდრის რვაას თუმნიდამ ორას თუმნამდე. მაშასადამე, არა ყოფილა მცირე ის საზოგადოება, რომელსაც ვალად სდევს მიიღოს მონაწილეობა ამ საერთო სასარგებლო საზოგადოებაში!!. სად არიან, ბატონებო, ეს შეძლებულნი? ამათ შორის ბევრს ვიცნობ, თუმანსა და თხუთმეტ მანათს აძლევენ ხოლმე მოსამსახურეებს საჩუქრად და იმათთვის განა ძნელია საწევრო 110 მანათის შემოტანა? ხომ არ დაეკარგებათ ამ ფულის ცვილებს, არამედ სარგებელსაც აიღებინებენ თავისს არა-ნაშრომ ფულს.

მიზეზი აქ სულ სხვა გახლავსთ. როგორც საზოგადოებამ იცის, ჩემის მხრივ განმარტივება საჭიროც არ არის, საქართველოში საერთო, საზოგადო საქმეს მხარს არასოდეს არავინ აძლევს და მომეტებულად ჩვენი მაღალ-წოდება. მაშ რას უნდა მივაწეროთ ასეთი უხეირო საქციელი გორის მაზრის თავად-აზნაურობისა; მაშინ, როდესაც გორის მაზრაში ხუთჯერ მეტი მცხოვრებია თავად-აზნაურები,—ვიდრე საერთოდ სიღნაღისა და თელავის მაზრებში, სადაც მრავალი საზოგადო საქმეა მოწყობილი!! ამის მომქმედნი, საზოგადო საქმისათვის რომ ვერ გვისესხებია 110 მანათი სასარგებლოდ (თუმცა იგი შეიძლება არც-კი იყოს პირველსა და მეორე წლებში), ამის მომქმედნი სიტყვით გავიძახით, ბეჭდვით ვაუწყებთ ქვეყანას, რომ სომხებმა დაინარჩუნეს ყოველი სავაჭრო საგანი, გამდიდრდნენ, შეისყიდეს ჩვენი მამულებიო და სხვა-და-სხვა; უნდა შევეჯიბროთო, დავიწყოთ კულტურული მეურნეობა, საერთო ვაჭრობაო... ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: „მჩხავანა კატა, თაგვს ვერ დაიჭერსო“. როცა ხალხი არა ჰშრომობს, არა ვაჭრობს და მხოლოდ კეთილ-ცხოვრების ფიქრშია, ჭორიკანაობაში ატარებს წუთი-სოფელს, იმისთანა ხალხს არამც-თუ მამულები წაუვა ხელიდგან, ადამიანობასაც თან გადაატანს.

დიახ, ბატონებო დავიწყეთ ვაჭრობა პირველ მაისს—კარგადაც მიდის ეს საქმე. თვეში ორას თუმნიდგან სამას თუმნამდე გახლავთ აღებ-მიცემობა ჩვენს საწყობში. ეს ასეა, მაგრამ ჩვენს საზოგადოებას, რომ დამხმარებელი, გულ-შემატკივარი გამოჩენოდა ვინმე, თვეში სამი ათასი თუმანიც იქნებოდა. ამორჩეულმა კაცებმა, რომლებსაც უნდა ეწარმოებინათ ეს საქმე, უღალატეს ჯერ ამ საქმეს და მეორედ თავისს აღთქმას, საზოგადოების წინაშე დადებულს!! თუ არ შეეძლოთ გაძღოლა ამ საქმისა, რად იკისრეს?!. სასახელოდ თუ?!. მაშ რასა ჰკავს ამათი ქცევა. ერთი ამორჩეულთაგანი შეგვპირდა დღე და ღამ სავაჭრო საწყობში ყოფნას და განკარგულების მიღებას, ანუ ზედამხედველობას, მაგრამ ორჯელ არ გვინახავს გომში, დილიდამ საღამომდე, ამ თერთმეტის კვირის განმავლობაში. ან როგორ მოიცლის საზოგადო საქმისთვის, როდესაც აქვს დიდი მამული, გამართული აქვს წესიერი მეურნეობა და თავისს საქმესაც-კი მარტო ვერ ასდის. ღმერთმა ხელი მოუმართოს ყველა საქმეში, მაგრამ საზოგადო საქმემ რა დააშავა, საოჯახო საქმე გაუჩნდა და პირველ მკათათვემდე არ დაგვენახვებია. პირველ მკათათვიდამ-კი გომშია და თვალ-ყურს ადევნებს ვაჭრობას, მაგრამ ესეც ხან-გრძლივი ყოფნა არ იქნება, რადგანაც სხვა თანამდებობაზედ არის ამორჩეული და სად მოიცლის ამხანაგობისათვის. რაც შეეხება მესამეს, უნდა მოგახსენოთ, რომ იგი მოხუცებული კაცია და ავად მყოფიც, ამისთვის ბევრი არა ესაყვედურება რა; თუმცა კი ეს უფრო გამოცდილი ვაჭარია და ამასაც საკუთარი საქმე ბევრი აქვს... აბა, ბატონებო, ამ ტრიუმვირატის ხელში ჩვენს ამხანაგობას განა დღეგრძელობა მოელის? ამის პასუხი თქვენ ბრძანეთ. ნათქვამია: „უბედურის კაცის პატრონი—ღმერთიაო“.

ამ გაჭირვებაში გამოგვიჩნდა ერთი მხნე და პატიოსანი კაცი, რომელმაც იკისრა ამათი ვალდებულება და კიდეც ასრულებს კეთილ-სინდისიერად. ეს კაცი გახლავთ ბ-ნი იორდანე სიხარულიძე. ბ-ნმა სიხარულიძემ აჩვენა ჩვენს თავად-აზნაურობას, სადაც მოიპოვებიან მრავალნი: ბუმბერაზნი ჩინოვანები და დიდის მამულის მეპატრონეები, მაღალს სასწავლებელში კურს დასრულებულნი და კარგს ჯამაგირიან ადგილებზედ მსხდომარნი, ის მაგალითი, რომ თუ ადამიანი თანაუგრძნობს რაიმე საზოგადო საქმეს შეუძლიან ბევრი არგოს. ბ-ნმა სიხარულიძემ, ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებმა, შემოიტანა საწევრო ფული იცით, ბატონებო, რამდენი, სამას თუმნამდე და ზემოთმოხსენებულმა ინტელიგენციამ-კი თითო თუმნითაც არ გაუმართეს ხელი ამ ნორჩს საზოგადოებას. ბ-ნმა სიხარულიძემ, გარდა სამასი თუმნისა, შემოიტანა ამხანაგობაში დაუღალავი შრომა, დიდი გამოცდილება სავაჭრო საქმისა (დილიდამ საღამოს ათ საათამდე თვალ-ყურს ადევნებს ვაჭრობას ეს მეორე თვეა) და ისე გაამშვენიერა სავაჭრო დარბაზი, რომ ტფილისშიაც ბევრი არ მეგულება ამისთანა. გაამშვენიერა ამხანაგობის ხარჯით-კი არა, თავისის საკუთარი გროშებით, რომლის რიცხვიც შეიძლება აღვნიშნოთ ხუთასის ან ექვსასის თუმნით, ვაშა ბ-ნო სიხარულიძევ!! ღმერთმა კეთილად წარმართოს ყოველი თქვენი კერძო საქმე და ნუ მოაკლოს ჩვენს ამხანაგობას მომავალშიაც თქვენი დაუღალავი შრომა და დახმარება!! ჩემი შენიშვნა ცოტა არ იყოს გაგრძელდა და ამიტომ ვათავებ ახლა და რაც მაქვს სათქმელი, შემდეგში მოვახსენებ მკითხველებს. ხოლო ვა-

ლად ვრაცხ ვაუწყო წევრებს ჩვენის ამხანაგობისას, რომ ახლო ხანებში უნდა მოვიწვიოთ საზოგადო კრება და დავნიშნოთ საქმეების მწარმოებლად იმისთანანი, რომლებიც მოიცლიან ჩვენის ამხანაგობისათვის და რომელთაც საკუთარი საქმე ბევრი არ ექმნებათ.

წევრი ზედამხედველი კომიტეტისა თავ. სოსიკო თარხნიშვილი

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

23 აგვისტო.

**ვარშავა.** ვარშავის სიმაგრეთა დათვალიერების შემდეგ მათნი უდიდებულესობანი უიაზდოვსკის სამხედრო საავადმყოფოს დასათვალიერებლად მიბრძანდნენ. უმაღლესის საუზმის შემდეგ, რომელიც ლაზენკოვის სასახლეში იყო გამართული, მათნი უდიდებულესობანი კათოლიკეთა წმ. ალექსანდრეს ეკკლესიაში მიბრძანდნენ. მათს უდიდებულესობას არქიეპისკოპოსი პოპელი შეეგება ეპისკოპოსებითა და მრავალის სამღვდელოებითურთ. მრავლად თავმოყრილი ხალხი დიდის სიხარულით დაუხვდა მათს უდიდებულესობას; ბევრმა მანდილოსანმა მათს უდიდებულესობას გზა ყვავილებით დაუფინა. წმ. ალექსანდრეს ეკკლესიიდგან მათნი უდიდებულესობანი დედათა მარინეს ინსტიტუტში მიბრძანდნენ და შემდეგ ,,წითელის ჯვარის‘‘ საზოგადოების ოფიცერთა საავადმყოფო ინახულეს. ლაზენკოვის სასახლეში დაბრუნებამდე მათ უდიდებულესობათ ვაჟების კლასიკური გიმნაზიები დაათვალიერეს. საღამოს შვიდს საათზედ ლაზენკოვის სასახლეში სადილი იქმნა გამართული; სადილის დროს ლიტოვისა და დრაგუნთა მე-38 რაზმის ორკესტრები უკრავდნენ. სადილის შემდეგ მათნი უდიდებულესობანი დიდს თეატრში მიბრძანდნენ წარმოდგენაზედ დასასწრებლად. როდესაც მათნი უდიდებულესობანი საიმპერატორო ლოჟაში შებრძანდნენ, ყველა ფეხზედ წამოდგა და ორკესტრმა საერო საგალობელი დაუკრა. საერო საგალობელის შემდეგ დამსწრე საზოგადოებამ ერთხმად „ურა“ იგრიალა.

ქალაქი საუცხოვოდ იყო გაჩირაღდნებული. მთელის დღით ქუჩებში აუარებელი ხალხი სდგას და მეფის გავლას უცდის.

**პეტერბურგი.** გამოცხადებულ იქმნა საქციონერო საზოგადოების წესდება, რომლითაც განზრახულია ფინლიანდიაში მდინ. ვუოქსის ძალა ელექტრონის ენერგიის მოსაპოვებლად იქმნას ხმარებული.

**ჰომბურგი.** აქ იტალიის მეფე-დედოფალი მობრძანდნენ; რკინის გზის სადგურზედ მათ მეფე-დედოფალი, პრინცი ალბრეჰტი და ჰერცოგი კემბრიჯისა მიეგებნენ.

**ბერლინი.** „ფრანკფურტის გაზეთი“ ამტკიცებს, უელის პრინცი იმიტომ არ იყო ამ წელს ჰომბურგში წყლებზედ, რომ ჰომბურგის დღესასწაულობაზედ არ მიიწვიესო. მიწვევით კიდევ იმიტომ არ მიიწვიეს, რომ ინგლისმა იმპერატორი დედოფლის იუბილეზედ დასასწრებლად არ მიიწვიაო.

**კონსტანტინეპოლი.** რვა სომეხს სიკვდილით დასჯა გარდაუწყვიტეს. ორი სომეხი, რომლებზედაც ეჭვი ჰქონდათ მიტანილი პორტას წინააღმდეგ ბოროტი განზრახვა გქონდათო, გაამართლეს.

**ლონდონი.** როგორც ოფიციალური ცნობები იუწყებიან, აფრიდებს საკმაოდ დიდი მებრძოლი ჯარი შეუკრებიათ. კოხატაში მყოფ ჯარების უფროსმა რჩეულ ჯარების ერთი რაზმი სადდუში გაჰგზავნა; ამისათვის ახლა სადდუს საშიში აღარა აქვს-რა. როგორც ახალ ოფიციალურ ცნობებიდგან სჩანს, აფრიდთა ერთი ნაწილი ორაქსეუბს თურმე უერთდება და განზრახვა აქვთ სამანასა და განგეს თავს დაესხნენ. ლორდმა ჰამილტონმა ნება დაჰრთო, რომ ტირახის მთებში ძლიერი ექსპედიცია იქმნეს გაგზავნილი. ტირახი აფრიდთა სიმაგრეა.

24 აგვისტო

**ვარშავა.** 23 აგვისტოს მათნი უდიდებულესობანი დიდის მთავრებით ვლადიმირ ალექსანდრეს ძით, პავლე ალექსანდრეს ძითა და მიხეილ ალექსანდრეს ძითურთ ვარშავიდგან ლაპისა და პელისტოკის რკინის გზის სადგურზედ მიბრძანდნენ. მათის უდიდებულესობის გასაცილებლად მთელის ვარშავის მაღალმა საზოგადოებამ რკინის გზის სადგურზედ მოიყარა თავი. დილა ადრიანად ქუჩები ხალხით გაივსო და მათს უდიდებულესობას ,,ურას‘‘ ძახილით მიაცილებდნენ. საუზმის შემდეგ, რომელიც ვაგონში იყო გამართული, მათნი უდიდებულესობანი სადგურს ლაპაზედ ეტლში ჩაბრძანდნენ და სოფ. ძველ ლუპიანკასკენ წაბრძანდნენ ალლუმის სანახავად. ალლუმის შემდეგ მათნი უდიდებულესობანი ბელოსტოკში მიბრძანდნენ.

**ბელოსტოკი.** ქალაქი ლამაზად არის მორთული ბაირაღებითა, ყვავილებითა და მწვანით. რკინის გზის სადგურზედ იაროსლავის 117 ქვეითა ჯარის რაზმის საპატიო დარაჯი იყო დაყენებული. საიმპერატორო სადგომის წინ შეიკრიბნენ: გზათა მინისტრი, გროდნის გუბერნატორი ბატიუშკოვი, გროდნოს გუბერნიისა და ყველა სამაზრო თავად-აზნაურთა წინამძღოლები, გროდნოს ქალაქის თავი მიხალსკი და ადგილობრივნი თავად-აზნაურნი ოჯახობითურთ; აქვვე იყო ბელოსტოკის ქალაქის მმართველობა და თავი რეშეტნევი; ცოტა მოშორებით ბელოსტოკის ხელოსანთა დეპუტაცია და სოფლის საზოგადოებათა მამასახლისები იდგნენ. 5 საათზედ საიმპერატორო მატარებელი სადგურზედ მოვიდა. ხელმწიფე იმპერატორმა რაპორტი მიიღო, სამხედრო მთავრობასა და საპატიო დარაჯს ჩამოუარა და სალამი მისცა. ხელმწიფე იმპერატრიცას გუბერნატორის მეუღლემ მანდილოსნები წარუდგინა. შემდეგ მათმა უდიდებულესობამ თავად-აზნაურობა მიიღო; თავად-აზნაურთა გუბერნიის წინამძღოლმა პურ-მარილი მიართვა; ბელოსტოკის ქალაქის თავმაც პურ-მარილი მიართვა. ამის შემდეგ მათნი უდიდებულესობანი რკინის გზის სადგურიდგან წაბრძანდნენ. მთელი გზა აქეთ-იქით ჯარებითა და აღტაცებულის ხალხით სავსე იყო. მათნი უდიდებულესობანი ღია ეტლით მიბრძანდნენ გრაფის რიდიგერის მამულში. ხალხი „ურას“ ძახილით მიაცილებდა.

**სოფია.** როგორცა სჩანს, სასჯულო საქმეთა მინისტრს ტოდოროვს ფინანსთა მინისტრობა დარჩება; ტოტიევი სასჯულო საქმეთა მინისტრი იქნება, ვაზოვი—საერო განათლების მინისტრი, ველიჩკოვი —ვაჭრობის მინისტრი.

**ლონდონი.** „დაილი ნიუზს“ ატყობინებენ დეპეშით კონსტანტინეპოლიდგან: „როგორც ხმა ისმის, ედგარ ვინსენტი პარიზიდგან რუსეთს მიდის. ამ მოგზაურობას საბერძნეთის სამხედრო საზღაურის გარდახდასთანა და სესხთან კავშირი აქვს, რადგანაც საფინანსო დარაჯი ფინსენტთან დაახლოვებულია.

**კონსტანტინეპოლი.** სულთანმა საზღვაო ჯარის-კაცთაც უბოძა სამხედრო მედალი. სულთანის ადიუტანტი დარდანელში წავიდა და პირველს საზღვაო დივიზიას, რომელიც ზღვაში უნდა შესცურდეს, ფული წაუღო.

**სიმლა.** ინდოეთის ადგილობრივ სახელმწიფოთა ყველა მმართველმა თავისი ჯარები მთავრობას გადასცა. მთავრობამ მმართველთა წინადადება მიიღო იმის შესახებ, რომ ქვეითა ჯარის ოთხი ბატალიონი და საპერთა 2 როტა გაუგზავნოს; მიიღო აგრეთვე მაღარაჯ გვალიორისა და ღეაიპურის წინადადება იმის შესახებ, რომ სამგზავრო ურმები და ეტლები გაუგზავნოს,

25 აგვისტო

**ბელოსტოკი.** 24 აგვისტო, დილით, ხელმწიფე იმპერატორი და დიდნი მთავარნი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე და პავლე ალექსანდრეს ძე მაზოვეცკის გზა-ტკეცილით დოილიდგან რკინის გზის სადგურისაკენ წაბრძანდნენ. სოფ. ბაციოტის მახლობლად ხელმწიფე იმპერატორი და დიდნი მთავარნი ცხენებზედ შებრძანდნენ და მდინ. ნარევასკენ წაბრძანდნენ, სადაც ორსავ ჯარს ბრძოლა უნდა ჰქონოდა. როდესაც აღმოსავლეთის მთავრობამ უკან დაიწია, ხელმწიფე და დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე მობრუნდნენ და სოფ. ბაციოტის გზა-ტკეცილის მარცხნივ გამაგრებულს ადგილას დადგნენ. იქავე მიბრძანდა ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული. ამ ადგილიდგან უცქეროდნენ მათნი უდიდებულესობანი ოასავლეთის მხედრობა როგორ მიიწევდა წინ და აღმოსავლეთისამ როგორ უკან დაიწია. მათნი უდიდებულესობანი რომ სოფ. ნავოდნიცაკორიცვაიაში მიბრძანდნენ, აქ ტყის პირად საუზმე იყო გამართული. საუზმის შემდეგ მათნი უდიდებულესობანი გრაფის რიდიგერის მამულს დოილიდაშივე მიბრძანდნენ.

**ჰომბურგი.** გუშინ, სადილზედ, იმპერატორმა იტალიის მეფე-დედოფლის სადღეგრძელო მიირთვა და ის აზრი გამოსთქვა, რომ მეფები „ერთგულს მოკავშირეს ჰხედავს, რომლის მიბრძანებაც ერთხელ კიდევ უმტკიცებს ქვეყანას, რომ მშვიდობიანობის დასაცველად შემდგარი სამთა კავშირი ჯერ კიდევ შეურყეველია და ერთა შეგნებაში თან-დათან ღრმად იდგამს ფესვებს, რაიცა თავისს ნაყოფს იძლევა“. მეფე ჰუმბერტომ პასუხი ფრანგულად მისცა და დაპატიჟებისათვის იმპერატორს გულითადი მადლობა გადაუხადა, დაპატიჟებისათვის, რომელმაც შეაძლებინა დაემტკიცებინა, რომ იტალიისა და გერმანიას შორის მეგობრობა და კავშირი კვლავად არსებობს. მეფემ აღნიშნა მისწრაფება იმპერატორისა მშვიდობიანობის დასაცველად, რომელიც მისს საკუთარს მხურვალე სურვილს შეადგენს.

**კონსტანტინეპოლი.** დიპლომატიურს წრეებში იმ აზრისანი არიან, რომ მშვიდობიან ხელშეკრულობის საკამათო მუხლების შესახებ ახლა კაბინეტები საკმაოდ შეთანხმდნენ და შეიძლება მომავალ კვირის სამშაბათს, ან ხუთშაბათს კვლავ დაიწყოს სხდომები თოფხანაშიო.


## განცხადებანი

გამოცდილი **მასწავლებელი ქალი ამზადებს ყმაწვილებს** სხვადა-სხვა სასწავლებლის უმცროსს კლასებში შესასვლელად. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ პირადად და წერილით: მიხეილის ქ., სახლი კრაუზესი, № 79, ქ-ნს დიდებულიძისას.

(3—154—3)

ახალი ყოველ-თვიური ჟურნალი

## „კრებული“

უკვე იბეჭდება და პირველ ენკენისთვეს დაურიგდება ხელის მომწერლებს. წელიწადი ითვლება ენკენისთვიდან ენკენისთვემდე.
წლიური ფასი თბილისში მცხოვრებთათვის 6 მანეთია, ხოლო სხვა ქალაქებ-და-ბა სოფლებში გაგზავნით—7 მან., ნახევარ წლით 4 მან.
ჟურნალი ცალკე ნომრობით არ გაიყიდება.

## ხელის მოწერა მიიღება

თბილისში: „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში,—შიო ქუჩუკაშვილთან. ქ-ბ-ნ ელენე ანტონოვსკისთან—სახალხო ბიბლიოთეკაში (სათავად-აზნაურო ქარვასლაშია). იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში (ლორის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახლი, № 4.) და თბილისის ამხანაგობის „შუამავლის“ მაღაზიაში.

ქუთაისში: ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში და მიტროფანე ლაღიძესთან.

ბათომში: ქ-ბ-ნ მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან, ექიმ ვოლსკისთან და კოწია თავართქილაძის და მიქელაიშვილის წიგნის მაღაზიაში.

ფოთში: სოფრომ მგალობლიშვილთან, ქ-ბ-ნ ნინო ბერეჟიანთან, იოსებ კოხრეიძესთან, იაკობ ფანცხავასთან და ვლადიმერ ახობაძესთან.

ოზურგეთში: კოწია თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

ლანჩხუთში: მასთანვე „შუამავალში“.

ახალ სენაკში. მასთანვე წიგნის მაღაზიაში, ბესარიონ დავითის ძე ქავთარაძესთან და სამსონ ყიფიანთან.

საჩხერეში: „შუამავალში“ კოწ. თავართქილაძესთან.

ზუგდიდში: კნ. ანეტა დადიშქელიანთან.

ხონში: ივანე შარაშიძესთან.

ჭიათურაში: ირაკლი დეკანოზიშვილთან.

საჩხერეში: ყარამან ჩხეიძესთან.

ყვირილაში: (ზესტაფონში): დეკანოზ დავით ღამბაშიძესთან და ალ. არაბიძის წიგნის მაღაზიებში.

წიფაში: კირილე ხარაძესთან.

ონში: თავად ქაიხოსრო გელოვანთან.

გორში: ნიკო ლომაურთან, მიხეილ ილურიძესთან და რომანოზ ფანცხავასთან.

განჯაში: ალექსანდრე მიქაბერიძესთან და სოლომონ დოლიძესთან.

ბაქოში: ინჟენერ გიორგი დეკანოზიშვილთან.

კაგკაგში: ალექსი ჭიჭინაძესთან და ივანე ჩითაშვილთან.

თელავში: ბარბარე პაატას ასულ სულხანიშვილთან, კნიაჟნა მარიამ ესტატეს ასულ ვახვახიშვილთან და ივანე კოლელიშვილთან.

სიღნაღში: დ. მაჩხანელთან—დეპოში და თ. დ. ჩოლოყაშვილთან.

ახალციხეში: გრიგოლ ბურჭულაძესთან.

ახალ ქალაქში: ილია ალხაზიშვილთან.

ხაშურში: იოსებ ნიკოლოზის ძე ფანცულაიასთან.

მოლითში: პავლე კურცხალიასთან.

ბრეთში: თ. ვანო ავალიშვილთან.

გუდაუთში (სოხუმის ოლქშია): გიორგი ბალდავაძესთან.

ადლტაფაში: მიხეილ გორდაძესთან.

შორაპანში: სამსონ ლუკას ძე ყაზაიშვილთან.

ბბ. აგენტებს ვთხოვთ, ხელის მომწერლების სიები დროზე გამოგვიგზავნონ.

რედაქცია იმყოფება მუხრან-ბატონის სახლში გოლოვინის პროსპექტზე.

ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію грузинск. журнала „Кребули“. Головинскій проспектъ, домъ кн. Мухранскаго.


Дозволено цензурою, Тифлисъ 26-го Августа 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.